შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი-
მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა
მართვის ცენტრი“

ქ. ქუთაისი, ფოთის ქ.№40; ტელ: 0 (431) 24-39-09
მობ: 568 89 89 89

Giagrdzelidze71@gmail.com

LTD THE MULTI-PROFILED HOSPITAL -
MEDICAL CITY AND NATIONAL CENTER
FOR INFECTIOUS DISEASE CONTROL”

Kutaisi, str. Poti №40; Tel: 0 (431) 24-39-09
TEL: 568 89 89 89

Giagrdzelidze71@gmail.com

თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების
დასავლეთის რეგიონალური ცენტრი
ქ. ქუთაისი, ფოთის ქ N40

giagrdzelidze71@gmail.com

მობ.: +995 568 89 89 89

West Regional Center
of Modern Medical Technologies
N40 POTI st., KUTAISI,GEORGIA

giagrdzelidze71@gmail.com

MOB.: +995 568 89 89 89

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორისა და შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს დირექტორის ერთობლივი

ბრძანება № 07/ო/19

ქ. ქუთაისი

04 ივნისი 2020 წელი

კლინიკებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრსა“ და შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრში“ (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებულია როგორც „კლინიკები“) დოკუმენტბრუნვის გაუმჯობესებისა და კლინიკებში გამოცემული ბრძანებების, საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტების, აგრეთვე კლინიკების პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების, შეთანხმებების და ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტების ელექტრონულად გაცნობის მიზნით, დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით

მიზანშეწონილად ჩაითვალა ეტაპობრივად დაინერგოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ვბრძანებ:**

1. ცნობად იქნას მიღებული, რომ კლინიკების საქმიანობის თაობაზე ნებისმიერი სიახლისა და ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად გავრცელებისა და მოძიების მიზნით შექმნილია ვებ-გვერდები: medicalcity.ge და wrc.ge (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებულია, როგორც „ვებგვერდები“).

2. ცნობად იქნას მიღებული, რომ კლინიკების ყველა თანამშრომელზე (დასაქმებულზე) შექმნილია ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტა (ელექტრონული ფოსტის რეესტრი თან ერთვის ამ ბრძანებას). პროგრამული უზრუნველყოს სამსახურმა ელექტრონული ფოსტის რეესტრი მიაწოდონ კლინიკის კანცელარიებს. დაევალოს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს საქმეთა მმართველს (ქ-ნი ნარგიზი გოდუაძე) და შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ქ-ნი პოლინა ლუკინა) უზრუნველყონ კონკრეტულ დასაქმებულ პირამდე ინფორმაციის მიწოდება მათი ელექტრონული ფოსტის რეკვიზიტების შესახებ.

3. ვებგვერდები წარმოადგენენ კლინიკების ოფიციალურ საინფორმაციო გვერდებს. medicalcity.ge წარმოადგენს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსნებული როგორც „მედიქალ სიტი“) ოფიციალურ საინფორმაციო გვერდს, ხოლო wrc.ge - შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს (შემდგომში ბრძანების ტექსტში მოხსენებული როგორც „თანამედროვე ტექნოლოგიები“) ოფიციალური საინფორმაციო ვებ-გვერდს.

4. შესაბამის ვებ-გვერდზე აიტვირთოს კლინიკებში მიღებული ზოგადი ხასიათის ის ბრძანებები ან ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელთა გაცნობაც სავალდებულოა შესაბამისი კლინიკის მთელი პერსონალისათვის, რის თაობაზედაც მიეთითოს გამოცემულ ბრძანებაში ან ინფორმაციაში ტექსტით **„გამოქვეყნდეს ვებგვერდზე“**. გადაწყვეტილებას ბრძანების ან ნებისმიერ ხასიათის ინფორმაციის ვებგვერდზე ატვირთის შესახებ იღებს გენერალური დირექტორი –

(დირექტორი), საჭიროების შემთხვევაში, კლინიკის დამფუძნებელი-პარტნიორებთან კონსულტაციების შემდგომ.

5. ბრძანებები ან ნებისმიერი სახის ინფორმაცია (წერილი, შეტყობინება, მიმართვა, დავალება და ა.შ.), რომლებიც შეეხება შესაბამის კლინიკაში დასაქმებულ კონკრეტულ თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, დაეგზავნოს მათ ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე კლინიკის ერთიანი ელექტრონული ფოსტის რეესტრის შესაბამისად, რის შესახებაც მიეთითოს ბრძანებაში ან შესაბამის ინფორმაციაში ტექსტით **„გაეგზავნოს(თ) ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე“.**

6. რიგ შემთხვევებში, ზოგადი და ინდივიდუალური ხასიათის ბრძანებების გაცნობა განხორციელდეს არსებული დადგენილი წესით, კლინიკების ოფიციალურ ვებ გვერდებზე განთავსებისა და ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის გარეშე, რაზეც ინფორმაცია კონკრეტულად მითითებული იქნება ასეთ ბრძანებებში.

7. ვებ-გვერდზე ატვირთული ბრძანება ან ნებისმიერი სახის ინფორმაცია შესაბამისი კლინიკის ყველა პერსონალისათვის გაცნობილად ითვლება ბრძანების ან ინფორმაციის ატვირთვიდან მეორე დღეს.

8. ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ბრძანება ან სხვა სახის ინფორმაცია (წერილი, შეტყობინება, მიმართვა, დავალება და ა.შ.) დასაქმებულზე გაცნობილად ჩაითვლება ბრძანების ან ინფორმაციის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან მეორე დღეს.

9. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, დასაქმებულ პირზე გახსნილი ელექტრონული ფოსტა ამოღებულ იქნეს რეესტრიდან, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან ერთი დღის ვადაში. დაევალოს შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს საქმეთა მმართველს (ქ-ნი ნარგიზი გოდუაძე) და შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ქ-ნი პოლინა ლუკინა) უზრუნველყონ ამ ბრძანების შესაბამისად, გათავისუფლებული/დანიშნული პირის ერთიანი ელექტრონული ფოსტის რეესტრიდან ამოღება ან დამატება.

10. ვებგვერდებზე ასატვირთი კლინიკებში გამოცემული საერთო ბრძანების ატვირთვაზე პასუხისმგებელი პირია კლინიკების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

11. შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქალ სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს საქმეთა მმართველი (ქ-ნი ნარგიზი გოდუაძე) და შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (ქ-ნი პოლინა ლუკინა) პასუხისმგებელნი არიან ყველა ბრძანება, რომელშიც მითითებულია, რომ „აიტვირთოს ვებ-გვერდზე“ გადაუგზავნოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ხოლო ინდივიდულური ბარძანება ან სხვა სახის ინფორმაცია (წერილი, შეტყობინება, მიმართვა, დავალება და ა.შ.) გაუგავნოს შესაბამის თანამშრომელს ინდივიდუალურ ელექტრონულ ფოსტაზე.

12. დაევალოს კლინიკების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ პირებს დაქვემდებარებულ სამსახურებში გააცნონ თანამშრომელებს ეს ბრძანება. ამასთან, ბრძანება დაეგზავნოთ ყველა თანამშრომელს მათ ელექტრონულ ფოსტებზე. ბრძანება აიტვირთოს ვებ-გვერდზე.

13.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გია გრძელიძე

შპს „მულტიპროფილური ჰოსპიტალი - მედიქა სიტი და ინფექციურ დაავადებათა მართვის ცენტრი“-ს გენერალური დირექტორი

შპს „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“-ს დირექტორი